კონკურსი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იძულებით გადაადგილებულ პირთა სამინისტროს სისტემაში დასაქმებული საჯარო მოხელეებისთვის

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იძულებით გადაადგილებულ პირთა სამინისტრო „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 47-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 48-ე მუხლის შესაბამისად, სამინისტროს იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიული ორგანოს მოქალაქეებთან ურთიერთობის სამსახურის III რანგის II კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობაზე **გადაყვანის მსურველი მოხელის გამოსავლენად** აცხადებს კონკურსს სამინისტროს სისტემაში (ჰორიზონტალური გადაყვანა).

კონკურში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იძულებით გადაადგილებულ პირთა სამინისტროსა და მის ტერიტორიულ ორგანოებში დასაქმებულ, ვაკანტური თანამდებობის შესაბამისი/მსგავსი ფუნქციების მქონე III რანგის II კატეგორიის უფროს სპეციალისტებს.

ვაკანტური თანამდებობის ფუნქციები:

- რეგიონში მცხოვრებ დევნილთა მომსახურება;
- აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ (დევნილის სტატუსის მაძიებელი) პირთა მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დადგენისა და/ან ფოტოიდენტურობის დადასტურების თაობაზე შემოსული განცხადებების შესწავლა და ტერიტორიულ ორგანოში შექმნილი შესაბამისი კომისიისათვის განსახილველად მომზადება;
- დევნილთა ადგილზე კონსულტირება, მათ განცხადებაზე შესაბამისი რეაგირების მოხდენა;
- უშუალო უფროსის სხვა დავალებების შესრულება.

დაინტერესებულმა პირმა მიმდინარე წლის 9 ივნისის ჩათვლით „edocument-ში“ უნდა გამოაგზავნოს განცხადება.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით ნომერზე - 597023113.